გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

17 აპრილი
ხუთშაბათი
2025 წელი
№16(9382)
ფასი 40 თეთრი

ჩემო სულიერო შვილებო!

ჩემო სულიერო შვილებო, საქართველოს მკვიდრნო და უცხოეთში მყოფნო თანამემამულენო, სულიერად წარვემართოთ ბეთლემისაკენ, რათა მწყემსებთან ერთად ვადიდოთ ყრმა იესო, მოგვებთან ერთად შევწიროთ ძღვენი, – ოქრო, გუნდრუკი, მური და ანგელოზებთან ერთად ვუგალობოთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ღმერთმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დალოცოს საქართველო!

სიყვარულით თქვენთან მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეშობა 2025 წელი

ილია მეორე: ღმერთმა დალოცოს და რწმენაში განამტკიცოს სრულიად საქართველო!

„დღეს არის უფლის მეგობრის, 4 დღის გარდაცვლილი ლაზარეს, მკვდრეთით აღდგინების ხსენება და ქართული ენის დღესასწაული” – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის წერილშია ნათქვამი.

ლაზარეს უკავშირდება იესო ქრისტეს მიერ აღსრულებულ სასწაულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოვლენა; ბეთანიაში მომხდარმა ებრაელები გააოგნა და ყველამ, - თვითმხილველთაც და სხვათაც, ირწმუნეს მაცხოვრის ღმერთობა.

X ს-ის მოღვაწის, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველების მიხედვით, ლაზარეს მსგავსადვე, ბოლო ჟამს მოხდება ქართული ენისა და, შესაბამისად, საქართველოს, აღდგინება და აღორძინებაც.

ინებოს უფალმა ამის აღსრულება!

ლაზარეს აღდგინების მეორე დღეს, პასექის დღესასწაულზე, იერუსალიმში მიმავალ მაცხოვარს მთელი ხალხი მიწაზე ყვავილებს, თავიანთ სამოსელს, პალმის (ბაიას) რტოებს უფენდა და ჩვილი ბავშვებიც, უფროსებთან ერთად, ხმამაღლა სიხარულით გალობდნენ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა!”

ეს იყო იესო ქრისტეს ამქვეყნად მყოფობის 33 წლის მანძილზე მთელი ერის უდიდესი ნაწილისაგან მისი ღმერთად და მეუფედ აღიარებისა და თაყვანისცემის ერთადერთი დღე. ამიტომაც, ბზობა განსაკუთრებული ზეიმია.

იერუსალიმში მიმავალო, კვიცსა ზედა მჯდომარეო, უფალო ჩვენო, ჩვენც გაგიფენთ ჩვენს სამოსს, ჩვენს სულს, გულსა და სიყვარულს და შეგთხოვთ: ნუ მოიხსენებ უსჯულოებათა ჩვენთა, ნურასდროს განგვეშორები და დიდითა სულგრძელებითა შენითა შეგვიწყალენ.

ბზობის მადლით ღმერთმა დალოცოს და რწმენაში განამტკიცოს თითოეული თქვენგანი და სრულიად საქართველო, ამინ!

მადლობა ჩვენი ღვაწლის დაფასებისათვის

მინდა დიდი სიყვარულითა და მადლიერებით გამოვხატო ჩემი შთაბეჭდილებები “ბორჯომის საპატიო მოქალაქეების” სამახსოვრო წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, რისთვისაც საპატიო მოქალაქეების სახელით გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის წევრთა ხელმძღვანელებს ამ შესანიშნავი გამოცემისათვის.ამასთან ბორჯომის მოსახლეობას გულწრფელად ვულოცავ აღდგომის ღირსახსოვარ დღესასწაულს, ვუსურვებ ღვთის წყალობას, სიკეთეს და ბედნიერ მომავალს. ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

ვახტანგ კაპანაძე
ფირმა „ მშენებელი 2012” დირექტორი
ბორჯომის საპატიო მოქალაქე

ქრისტე აღსდგა

ქრისტე აღსდგა, სიკვდილისა დამთრგუნველი,
ხარობს ყველა, ყველაფერი, ზღვა და მიწა, მთა და ველი,
თვით სიკვდილი და გამოსყიდვა მოხდა დიდი,
იმ ცოდვისგან დახსნილი ვართ ყველა - პატარა თუ დიდი.
ჯვარს გაეკრა, ჩვენ კაცთათვის თვისი სისხლით
დაგვაბრუნა სიკვდილიდან სიცოცხლეში, ერთადერთმა გვიხსნა ღმერთმა,
კვლავ უკვდავნი შევიქმნებით, თუ ვიცხოვრებთ ღვთისთვის სათანადოდ,
მარადიულ ცხოვრებაში შეგვეძლება ვიკაშკაშოთ.
და ჩვენც, როგორ არ ვუსმინოთ ეკლესიის მომხმობ ზარებს.
გამარჯვებულ ბრძოლაში ვართ, თუ ვენდობით, შევიყვარებთ.
ღვთის ძეს, ქრისტეს, მთელი ძალით, გონებით და მთელი გულით,
აღიარებთ ჩვენს შემოქმედს, ვუერთგულებთ სიყვარულით.
გიხაროდენ, ზეიმობდეთ, ქრისტე აღდგა, თუმცა ჯერ ევნო,
სასაწაული, სასწაული ვიზეიმოთ მორწმუნენო,
მივულოცავ ცას და მიწას, იხარებდეთ ხალხნო, ერნო,
სულდგმულნო და ანგელოზნო, იზეიმეთ ერნო, ბერნო,
ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა საყვარელნო.

ოლიკო ლომიძე.

სევდიანი დამოუკიდებლობის დღე!

თავისუფლება ლომთა ხვედრია!...

9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნება 1989 წლიდან. მას შემდეგ, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოსთან ერთად ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის სტატუსი მოიპოვა, სამწუხაროდ, საქართველო ყველაზე მკაცრად დაისაჯა, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დღესაც გრძელდება და იმედია, ქართველი ხალხი ამ სანუკვარ ოცნებას აუცილებლად მიაღწევს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა**, მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ჯუმბერ კურტანიძემ**, საკრებულოს დეპუტატებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და მოქალაქეებმა 9 აპრილის მემორიალთან თავისუფლებისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს და მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

დეკანოზმა იოანემ (ხეცურიანი) დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა, რომლის დასრულების შემდეგ, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ადგილზე ღონისძიება გაიმართა.

„36 წლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული აქცია, მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევით დასრულდა, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ასობით ადამიანი კი დაშავდა. 9 აპრილი მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.

- ეს დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაიწერა ტრაგედიის და ამავდროულად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ,” - განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა.**

ორი ღირსშესანიშნავი დღესასწაული ერთად აღინიშნა

14 აპრილს ბორჯომში ორი ღირსშესანიშნავი თარიღი ერთად აღინიშნა, უპირველესად ქართველებისათვის უდიდესი სალოცავის -„დედა ენის” ტრადიციული დღე. ამ დღეს თითოეული ქართველი დიდი სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნავს



ქართულმა ენამ საუკუნეების მანძილზე უდიდეს შემოტევებს გაუძლო და დღემდე მოვიდა. როგორც უფალს და დედამინაზე არსებულ ქრისტიანულ სალოცავებს ვუფრთხილდებით, ისე უნდა ვუფრთხილდებოდეთ ,,დედა ენას” - სრულიად ქართველთა სამეტყველო ენას. ქართველებს ,,დედა ენაზე” დიდი საუნჯე არ გაგვაჩნია, ამიტომ მოვალენი ვართ, გულის ფიცარზე დავიწეროთ, ენის სიწმინდე და, როგორც უდიდესი საფიცარი.

სწორედ ამ წმინდა, არ დასავიწყებელ, დღეს დაემთხვა მეორე არანაკლებ დასაფასებელი და აღსანიშნავი ღონისძიება, რომელიც სპეციალურად გამოცემულ წიგნს ,,ბორჯომის საპატიო მოქალაქეები”-ს პრეზენტაციას მიეძღვნა.

ღონისძიების დაწყებამდე ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** წიგნის გამოცემის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ წიგნის გამოცემა ნამდვილად უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქალაქისათვის და იგი ისტორიის შემადგენელი ნაწილია. ამჯერად პირველ წიგნში 75 საპატიო მოქალაქეა აღნუსხული, სულ საპატიო მოქალქეთა რაოდენობა 150-ს აღემატება. მეორე წიგნზე მუშაობა დაწყებულია.

წიგნი ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით გამოიცა. პრეზენტაციასთან დაკავშირებით, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების დაწყებამდე ბორჯომელი მხატვრების, საპატიო მოქალაქეების **ნათელა ღლონტის, თანგული ორთოიძის, ომაზ ჩხეიძისა და რუბენ ვეფხვაძის** ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

სიტყვებით გამოვიდნენ ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის **მიტროპოლიტი დანიელი,** სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი - **ბესიკ ამირანაშვილი,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი - **ოთარ არბოლიშვილი,** ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე - **დავით ზაალიშვილი.** სიტყვებში გამომსვლელებმა მაღალი შეფასება მისცეს წიგნის გამოცემას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ქალთა გენდერული თანასწორობის ორგანიზაციას მადლობა გადაუხადეს ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის. ასეთი ნაშრომი ნამდვილად გაუძლებს დროს და ღირსეულ ადგილს დაიკავებს ბორჯომის ისტორიაში.

მაყურებლის წინაშე კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები - **„ფერხისი”** და **„იმედი”**, ასევე ანსამბლი **„მერმისი”** და სამუსიკო სკოლასთან არსებული ვოკალური ანსამბლი **„ოქტავა”** წარსდგა.

მადლობა ყველას ვინც წვლილი შეიტანა ამ წიგნის გამოცემაში.

ვალერიან ლომიძე.

ღმერთი- სიტყვა ჩვენთანაა

„...არ ვიცი, რამხელა მანძილია "ღმერთი"- დან — "ღმერთო"- მდე, ალბათ იმდენი, რამდენადაც გვიჭირს..."

სულიერი ადამიანები წარმატებას ტკივილით აღწევენ, რადგან ტკივილი არის ძაფი, რომლისგანაც სიხარულის ქსოვილი იქსოვება."



ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი უძველესი და უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. ზეიმთა ზეიმია ქრისტიანთათვის - აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც სინედრიონის ნებით ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

ყველას ვულოცავ! ვისთვისაც ქრისტესშობის დღესასწაულის არსია მთავარი, და არა თარიღის ძიება. როგორც წმიდა **გრიგოლ ნოსელი** ამბობდა: **„ღმერთი უცვალებელია, ხოლო ამქვეყნიურობა — წარმავალი და დროის მდინარებას დაქვემდებარებული"**. ამდენად მორწმუნისათვის უმთავრესი ორიენტირი უნდა იყოს არა ქრისტეს დაბადების თარიღის ძიება, არამედ ღმერთის საიდუმლოებების (დღესასწაულების) არსის გაგება და მათში მონაწილეობით ღვთის მარადიული სასუფევლის დამკვიდრება.

ღმერთი ზუსტად ისე ახლოს დგას შენთან, როგორც შენ მასთან... **"ალბათ, ღმერთი ერთადერთია, ვისთანაც ხვეწნა ღირს."**

ღმერთს სახელი რომ ერქვას იქნებოდა განსაზღვრული, ღმერთი კი განუსაზღვრელია. ყველგან მყოფი, იგი არ განისაზღვრება დროით და სივრცით, ის აბსოლუტური სიყვარულია, აბსოლუტური სინათლეა. აი, იმ ნეტარების უკიდეგანო ერთობლიობაა, რასაც ჩვენ აქ, ზოგჯერ, მცირე ხანს განვიცდით და ბედნიერებას ვეძახით.

ღმერთს არ აქვს კონკრეტული სახელი, ის არც რომელიმე რელიგური დოგმებით და წესებით აღიქმება. ღმერთი - ღმერთია! შემოქმედი ცისა და მიწის. შემოქმედი ადამიანისა და მისი თავისუფალი ნების; ჩვენი თავისუფალი ნება კი გვიბიძგებს ღმერთისკენ, ჰოდა, ადამიანმა ხან ვის დავარქვით ღმერთი და ხან ვის. ჭეშმარიტი ღმერთი კი, ჩვენთვის მირონცხებული, ჩვენი ცოდვილი ბუნების გამომხსნელი, სიკვდილითა სიკვდილისა დამრთგუნველი, იესო ქრისტეა! **,,ჩემი თვალი, რომლითაც ღმერთს ვხედავ, იგივე თვალია, რომლითაც ღმერთი მხედავს მე. ჩემი და ღვთის თვალი ერთია, ერთ ხედვაში, ერთ ცოდნაში და ერთ სიყვარულში".-** წერდა **ეკჰარტ ტოლე**.

არაფერი ხდება ქვეყანასა ზედა ღმერთის კანონების გარეშე, არის ღმერთი და არის ყველაფერი დანარჩენი, რაც მან შექმნა და შექმნის მომენტიდან ყველაფერი ვითარდება და ემორჩილება მის კანონებს. ამიტომ მისი სუფევა ისედაც იყო, არის და მარადჟამს იქნება!

ჩემი აზრით, ბიბლიას თუ კარგად წავიკითხავთ და გავიაზრებთ, სწორ პასუხს ყველა კითხვაზე ვიპოვით.

,,ღმერთი კი არ გვართმევს, მუდამ თავად ვკარგავთ,

ხვალ კი ჩვენ დაკარგულს მაინც დაგვიბრუნებს,

სხვა გზით დაგვიბრუნებს, თავი მიაბრუნე..."

მაღალი სულიერება არ ნიშნავს უფრო მეტის ცოდნას. ეს ნიშნავს უფრო მეტი სიყვარულის უნარს. ჩემი აზრით, გასხივოსნება ეფუძნება გაცნობიერებულ შემოქმედებას: სულიერი ნებით, სიყვარულითა და ცოდნით. ცალ-ცალკე მათი ფლობა ვერ იძლევა სრულყოფილ შედეგს.

ილუმენია ვერონიკა

ადამიანებმა კი მიტევება უნდა ვისწავლოთ... **მათე: „მაშინ მივიდა მასთან პეტრე და უთხრა: „-უფალო! რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ თუ შესცოდა? შვიდჯერ?"** უთხრა მას იესომ: **„-მე არ გეუბნები, შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ."**

აქ ნათქვამი სიტყვა პატიებაზეა, მოყვასის პატიებაზე, ისევე როგორც ღმერთმა გვაპატია; მაგრამ ღმერთის პატიებას წინ უსწრებს ჩვენი არჩევანი, მივიღოთ იესო ქრისტეს მსხვერპლი და შესაბამისად პატიებაც, თუ არ მივიღოთ?! - ამ არჩევანის წინაშეა ადამიანი მუდმივად, სანამ იარსებებს.

/მათე/ასევე ვკითხულობთ: **"ვინაიდან, თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ თქვენი ზეციერი მამა. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი მამა მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს."**

დავუკვირდეთ სიტყვებს ჩვენს მადლიან ქართულ ენაში, როგორ ნათლად და სწორად გადმოსცემს **- მოინან(იესო)... აპატ(იესო)...** – თავად იესოა სიტყვებში... **"უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი",.. - რამეთუ ტკივილი ასწავლის ლოცვას.**

ძნელია, ჩასწვდე სხვის ტკივილს, სულიერ ტანჯვას, ამიტომაც მივუტევოთ ყველას ცოდვები და ჩვენც მიგვეტევება. ვიყოთ მადლიერები უფლის, რადგან ის ყოველთვის ლოცულობს ჩვენთვის.

საოცარი სათნოებაა ლოცვა მოყვასის სულის გადასარჩენად. ეს არის ღვთისაგან ბოძებული მადლი, რომელსაც ადამიანი აჰყავს სულის ცხონებამდე ზეცაში. ვილოცოთ ყველამ მოყვასის სნეული სულის გადასარჩენად. დღეს, სამწუხაროდ, ეს გვაკლია... ადამიანს ადამიანობა აღარ გამოსდის... ,,...არ ვიცი, იქნებ ტაძარში მისვლამდე შემხვდა ღმერთი და ვერ ვიცანი..."

უფალი კი, ადამიანებისთვის ეცვა ჯვარს, მოკვდა და აღსდგა!.. ადამიანებისთვის...

2025 წლის წინ, შუადღისას, ცა გაშავდა. ქრისტე, 23 მარტს, ხუთშაბათს, დილის 9 საათზე ჯვარს აცვეს და ზუსტად ღამის 3 საათზე გარდაიცვალა. წითელი პარასკევი — მთელი წელიწადის განმავლობაში ყველაზე მძიმე დღე.

,,ვინ იცის, როგორ ტკიოდა ჯვარს, მასზე გაკრული ღმერთი". დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

საღამოს 12-დან 3 საათამდე ჩვენ გვქონდა გლობალური დაბნელება, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ნახევარსფეროში. იყო საგრძნობი სიბნელე, აბსოლუტური სიბნელე! ქრისტეს აღდგომა მოხდა მის 33 წლის ასაკში. ქრისტესთან ერთად ჯვარს აცვეს 2 ქურდი - დისმასი და გესტასი. დისმასი მარჯვნივ და გესტასი მარცხნივ. დისმასმა სინანული გამოავლინა და გადარჩა. **/ბერი ეფრემი. ათონის მთა/**

გავიხსენოთ კოვიდის ისტერია, დაცემული რომის პაპი! შეშინებილი რუსეთის პატრიარქი! და ჩვენი უშაშარი პატრიარქი, რომელმაც პირბადეც კი არ გაიკეთა! და ზიარების ღვთაებრივი რიტუალიც ხომ მარტო ჩვენთან სრულდებოდა.

დედამიწაზე მხოლოდ საქართველოში იზეიმეს ყველა ტაძარში ქრისტე ღმერთის აღდგომა!!!

აღდგომა - ჩვენი კაცობრიობის მთავარი სიმბოლო კეთილის ბოროტზე გამარჯვების, ბრძოლის არსის, მომავლის იმედის და შინაგანი რწმენის ჭეშმარიტებად დამტკიცების სიმბოლო.

"რა მაღლა ჰგიებ, -

ცაზე მაღლა,

მზეებზე მაღლა...

(როგორ მსურდა გზაზე გხლებოდი...)

აღმსდგარხარ...

თუმცა მე მაშინაც მწამდი, უფალო,

როცა ამ მძიმე ქვის ლოდის ქვეშ

მეგულებოდი... " - **რობერტ მესხის** სტროფები, რომელიც ყველაფერია ჩემთვის...

უფალი მიმტევებელი და სულიერი სიძლიერეა. ჩვენთვის და მთლიანი საქართველოსი - სწორედ უფალია მთავარი საყრდენი.

ქრისტიანობა არის სიყვარული, თავმდაბლობა, უბრალოება, მორჩილება, პატიოსნება, პატიება და მართალი გული. **არ არსებობს დაკეტილი კარი, რომელსაც სიყვარული ვერ გააღებს... სიყვარულის თავშიც და ბოლოშიც — სამოთხეა... რადგანაც სიყვარული — ღმერთია... არ არსებობს ადამიანი, რომელიც ღმერთმა მიატოვა, არსებობენ მხოლოდ ადამიანები, რომლებმაც ღმერთი მიატოვეს... თუმცა, არსებობს ღმერთი, რომელიც მაინც არ გაწირავს ადამიანებს. და არსებობს ლოცვა, რომელიც გადაგვარჩენს!"**

,,ღმერთი იმ სიშორეზე არასდროს დაგიცდის, სადამდე მისვლასაც ვერ შეძლებ"-ო, ნათქვამია. სწორედ სიყვარული არის ღმერთი, შემწყნარებლობა, უბრალოება, სიკეთე. ყველაზე დიდი ენერგია, რაც კაცობრიობას გადაარჩენს. საინტერესო ისაა, რომ ასეც უნდა მომხდარიყო, კაცობრიობა მატერიალიზმში ჩაფლულიყო ბოლომდე და ამის გამო განვითარებინა გონების ინტელექტი - IQ - უძველესი სულიერი ცოდნითა და პრაქტიკული მიღწევებით თუ რა შეუძლია ემოციურ ინტელექტს. ახლა ვართ გარდამავალ ეპოქაში, როცა სულიერება და ინტელექტი უნდა გაერთიანდეს და ასეც ხდება თვალნათლივ.

აგერ, ჩვენი ქვეყანაც გზისგასაყარზეა ისტორიულად და ეს აისახა ჩვენს ფოლკლორში, - აღმოსავლეთში პოლიფონიური მუსიკალური წესრიგი, თავის ცეკვებითა და იქით, დასავლეთში, - ჯაზური კრიმანჭული, შესაფერისი მხიარული პლასტიკით. პატარა მოდელი ვართ ამ განსხვავებულობის აღსაქმელად

გადმოცემის თანახმად, მცხეთის მკვიდრ ელიაზარს, რომელიც იესო ქრისტეს ჯვარცმას დასწრებია, უფლის კვართის ნაწილი რგებია და საქართველოში ჩამოუტანია. მცხეთაში კი მისი და - ქრისტეს სჯულის გულმხურვალე მოწამე - სიდონია შეჰგებებია, ტირილით გულში ჩაუკრავს უფლის კვართი და იქვე განუტევებია სული. ვერავის აურთმევია სიდონიას ხელიდან ძვირფასი კვართი და ამიტომაც ამ კვართითვე დაუკრძალავთ იგი, ხოლო მის საფლავზე საკვირველი ხე ამოსულა, რომლის ქვეშ ზამთარ-ზაფხულ ყვაოდნენ **"ყუავილნი მრავალფერნი და სურნელი"** ("მოქცევაი ქართლისაი"); მაგრამ ამბავი აქ არ მთავრდება. სასწაულები ხომ მარტო ქრისტეს სიცოცხლეში არ ხდებოდა, მისი ჯვარცმის შემდეგ უფრო ხშირად და უფრო ბევრ ადგილას,ხდებოდა სასწაულები რადგან მის მიმდევართა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა...

გაიარა დრომ და 337 წელს ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და პირველი ქრისტიანი, მეფე მირიანი ჰკითხავს წმინდა ნინოს: **"-სადა უშენო სახლი ღმერთსა?"** ნინო კი იტყვის: **"-სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს."**

და ქრისტიანული ტაძრის აგებაც იწყება იქ, სადაც დაფლული იყო უფლის კვართი.

შვიდი სვეტი გამოთალეს საფლავზე ამოსული საოცარი ხიდან თურმე. ექვსი სვეტი აღუმართავთ, მეშვიდე კი, ყველაზე დიდი და გაბრწყინებული, მიწას არ მიჰკარებია, ჰაერში დაკიდებულა, ნათელსა და სურნელს გამოსცემდა. სწორედ ეს იყო სვეტიცხოველი - სიცოცხლის მომნიჭებელი სვეტი, რომლის სახელიც ეწოდა ტაძარს და რომლის პირველსახეც იყო ხის ეკლესია.

როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, ამის მერე მირიან მეფეს საბერძნეთიდან გამოუთხოვია ქვის მთლელნი და კირითხურონი და დაწყებულა ქვის ეკლესიის აგება, რაც 20 წელიწადს გაგრძელებულა. სვეტიცხოვლის ეს მეორე ნაგებობა V საუკუნის პირველ ნახევარში დანგრეულა არჩილის მეფობის პერიოდში და უკვე ვახტანგ გორგასალი მესამედ აშენებს სვეტიცხოველს... მხოლოდ შემდეგ, გიორგი I-ის მეფობისას, **მელქისედეკ კათალიკოსის** თაოსნობით, ხდება სვეტიცხოვლის საფუძვლიანი განახლება.

დღეს ჩვენ ვართ სვეტიცხოვლის მრევლი, ადრე ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II თუ გიორგი XII ყოფილან, რომლებმაც ტაძრის უწმინდეს კედლებს შორის ჰპოვეს განსასვენებელი. ერეკლეს ბრძანებით აუგიათ კიდეც სვეტიცხოვლის გალავანი 1787 წელს.

ტაძარში შესულს უკლებლივ ყველა ლეგენდის გჯერა, ყველა ლექსი გიტრიალებს თავში, აქ ვერავინ შეგედავება რწმენის სიმტკიცეში, შენთვის ეს არის ჭეშმარიტება... სვეტიცხოველი მარტო უფლის ტაძარი და ხუროთმოძღვრების ძეგლი არ ყოფილა თურმე, რაღაც უფრო მეტი,.. ლოცვასავით შვების მომგვრელი. **,,შენ ხარ სვეტიცხოველი... შენ ხარ სვეტიცხოველი"** - იწყება და მთავრდება უძველესი ლოცვა და შენ ფერსაც გრძნობ, მუსიკაც გესმის... და, რაც მთავარია, გჯერა, რომ მართლა **"ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი"**; როგორც ჩვენი უძველესი ფესვი, უძველესი ენა; სიძლიერე - რომელიც გვიცავს.

,,...ყოველდღიურად გვეკარგება ადამიანებს სითბო და მცირე სიყვარული ერთმანეთისთვის. შენ კი, იესო, ხეზე, ტილოზე, კედლის ფრესკებზე ათასწლობით ხარ დაწერილი და თვალებიდან გადმოგდის სითბო, სულსაც რომ ათბობს და ხელებსაც, დასახმარებლად გამოწვდილთ შენკენ."- წერს თორნიკე ჭელიძე

სანამ დროა, სიკეთეებით ვიცხოვროთ, დავეხმაროთ ერთმანეთს - გასაჭირში მყოფ ადამიანებს და ცხოველებს, რომლებიც ღმერთმა მოსავლელად მოგვანდო... რადგან დაგერქვა ადამიანი, ჯერ სხვას უშველე, შენ კი ღმერთი გიშველის. ინატრეთ კეთილი ადამიანები, რადგან სწორედ მათი მეშვეობით შემოდის თქვენს ცხოვრებაში ღმერთი! **,,ყველა ენაზე საუბრობს ღმერთი, ვერც ერთ ენაზე გებულობს ხალხი."** ღმერთი ყველას ხომ სათავისოდ უნდა.

"ერთხელ ღმერთი ყველას ამბავს ისე მოყვება,

როგორც სინამდვილეში იყო

და ჩვენ არც ხმა გვექნება, რომ ვიყვიროთ

და არც გზები,

რომ ბოდიშის მოსახდელად

და ჩასახუტებლად მივაგნოთ ერთმანეთს." -წერს მაია სარიშვილი

სიკეთე უყავ უფალო კეთილებსა და გულმართალებს! სიკეთის კეთება არ მოგწყინდეთ და უფალთან დაგხვდებათ! ღმერთო ამრავლე შენი ერთგულნი სიკეთის მკეთებელნი, ამინ!!!

,,ყველგან და ყველაფერში არის ღმერთი. ქმედებაში, მოძრაობაში — არის ცოცხალი ღმერთი და არაფერი ამ ქვეყანაზე, სულ არაფერი, სულ-სულ არაფერი — არ ხდება ამ ქვეყანაზე, მისი განგებულების გარეშე..." ამბობს **მამა თეოდორე გიგნაძე**.

ვილაპარაკოთ, მეტი ვილაპარაკოთ და ვასწავლოთ, ჩავუნერგოთ ბავშვებს უფლის სიყვარული და მისი ბილიკებით სიარული... დღეს, გარკვეული კატეგორიის "ჟურნალისტებს" ტელევიზია გასაპოპულარულებელი საშუალება ჰგონიათ მხოლოდ და არა სწორი ინფორმაციის გავრცელების, ან კეთილშობილური ზრახვებით მაუწყებლობა... მათი პასუხიმსგებლობაცაა გარკვეულწილად, დღევანდელობაში ,ერთმანეთში არეული ცრუ-მართალიც. არადა, სწორედაც ქრისტე უნდა ახსენოთ ხშირად და ქრისტესმოყვარე ადამიანები აჩვენოთ ეთერით -



სწორი მეტყველებით, ქცევითა და მადლიანი გადმოცემის უნარით.

უფალო, შეგვიწყალენ ჩვენ, ცოდვილვილნი, შეგვინდე და გვაპატიე!

ყველას, ღვთისადმი მტკიცე რწმენას და ერთგულებას გისურვებთ!!!

,,შეაგროვეთ სიმშვიდე და თვალებში ჩაიტიეთ ღმერთი"...

აღდგომა იმხელა დღესასწაულია, რომ გლოვის უფლება არ გვაქვს, თუ გვჯერა რომ ღმერთი აღდგა. საფლავზე გასულმა ადამიანმა არ უნდა იგლოვოს."ამბობს **მამა იოანე მჭედლიშვილი**

აღდგომის სიხარული არ მოგვიშალოს უფალმა!!! ამინ!!!

ნანა კევლიშვილი

ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული

აღდგომა ქრისტიანული სარწმუნოების ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია და ეძღვნება იესოს „მკვდრეთით აღდგომას“. აღდგომა მოძრავია და აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ. სავსე მთვარის მომდევნო კვირას, -ებრაული პასექის სწორს, მოდის რომელიმე კვირადღეს (ახალი სტილით 4 აპრილიდან - 8 მაისამდე). მას წინ უძღვის დიდმარხვა, რომელიც მორმორწმუნეებს აღდგომის შესახვედრად ამზადებს. აღდგომის დღესასწაული გრძელდება ერთ კვირას. (ნათელი კვირა), ახალკვირამდე (კვირაცხოველი). მორწმუნეები სააღდგომო კვერცხს წითლად ღებავენ. წითელი ფერი ქრისტეს მიერ ადამიანთა კეთილდღეობისთვის დანთხეული სისხლის მოსაგონარია, კვერცხი კი, მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა.

აღდგომის აღნიშვნის დღე დაადგინა / ნიკეას საეკლესიო კრებამ (325 წ.). სააღდგომო საგალობლების უმრავლესობის ნაწილი **იოანე დამასკელს** ეკუთვნის.

ქრისტიანული აღდგომა საწყისს იღებს ებრაული პასექიდან, რომელსაც ებრაელები მესაქონლე ტომები გაზაფხულზე აღნიშნავდნენ, როცა უდაბნოსა და საძოვრების „სულებს“ ისინი ბატკანს სწირავდნენ მსხვერპლად.

ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნიდან, როცა ებრაელები ბინადარ ცხოველებზე გადავიდნენ, პასექი დღესასწაულად იქცა. უფრო გვიან რაბინებმა ებრაელი ხალხის მესიის მოსვლის იდეა ჩართეს მასში. აღდგომას გენეტიკური კავშირი აქვს ძველი აღმოსავლეთის იმ ღმერთების კულტთან, რომლებიც თითქოს კვდებოდნენ და გაზაფხულზე კვლავ ცოცხლდებოდნენ. (ოსირისი - ეგვიპტეში, ადონისი - ფინიკიაში, თამუზი - ბაბილონში, კიბელე-ფრიგიაში და სხვა).

აღდგომა ქრისტიანულ სარწმუნოებაში ითვლება სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაულად.ქრისტიანთა წმინდა ადგილია გოლგოთა, სადაც ჯვარს აცვეს და დაასაფლავეს ქრისტე. IV საუკუნეში **კონსტანტინე დიდმა** ააშენა ბაზილიკა. შემდეგ იქვე ააგეს მრგვალი ეკლესია და სხვა შენობები. მას შემდეგ ეს ადგილები ცნობილია „წმინდა გოლგოთისა და აღდგომის“ სახელწოდებით და ითვლება მთელი საქრისტიანოს წმინდათანმინდა ადგილად. მის პატრონობას ეცილოებოდნენ როგორც სხვადასხვა ქრისტიანული ერები, ასევე მაჰმადიანები (არაბები, სპარსელები, სელჩუკები, მამლუქები, ოსმალები). საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული აღდგომის სავანეში ქართველებს, რომლის გავლენაც ძალიან გაიზარდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებისას და განსაკუთრებით საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების ხანაში, ზოგჯერ აღდგომის სავანე ქართველთა ხელში იყო, რომლებიც თითქმის მუდამ ითვლებოდნენ „მფარველად და ქტიტორად“ გოლგოთისა და აღდგომისა.

XI საუკუნეში ქართველებს აქ საკუთარი ეპისკოპოსიც ჰყოლიათ, რომელიც საისტორიო ძეგლებში ცნობილია „გოლგოთელის“ სახელით.

აღდგომის სავანეში, როგორც პალესტინის სხვა წმინდა ადგილებში, ქართველი საერო მოღვაწეები მწიგნობრობასაც ეწეოდნენ. არის ცნობები, არაერთი წიგნი დაიწერა ან გადაიწერა „სანახებსა და წმინდისა - აღდგომისა“.

XI საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ ქართველები იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ააშენებდნენ, აღდგომის სავანეში ხელნაწერთა გადაწერასა და მომზადებაზე მოღვაწეობდა ქართველ მწიგნობართა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გოლგოთელი ეპისკოპოსი.

XIII-XIV საუკუნეებში, ქართულ წყაროებში მოხსენებულია გოლგოთის დეკანოზი, ქრისტეს საფლავის მოძღვართ მოძღვარი და აღდგომელი, რომელსაც აღდგომის სავანეში ქართველთა კუთვნილი წმინდა ადგილების მოვლა და დაცვა ევალებოდა. ქართველებს ხშირად უხდებოდათ ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. ამის დასტური ისტორიული მასალები ქართულ და არაბულ წყაროებშია და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებშია შემონახული.

ქართველებმა XIV საუკუნის 20-იან წლებში მოიპოვეს ქრისტეს საფლავის კლიტე, რომელსაც ერთი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ.

აღდგომის ზეიმი საქართველოში

აღდგომა საქართველოში, ისევე, როგორც მთელქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღვნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას, განახლებას. აღდგომა უმთავრესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას აღინიშნება, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირა დღეს (ეს დღე ყოველ წელს, ახალი სტილით, 4 აპრილიდან 8 მაისამდე შუალედში ხვდება). აღდგომის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია ბზობა, დღე, როდესაც ქრისტე იერუსალიმში დიდებით შევიდა, ხალხი მას პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილით ეგებებოდა. ამ დღესასწაულზე ყველა ოჯახს, ტაძრიდან სახლში ბზის ტოტები მიაქვს, ნაკურთხი ბზა საქართველოში პალმის რტოების სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. ბზობას მოჰყვება ვნების კვირა.

ვნების კვირაში, წითელ პარასკევს, ყველა ოჯახში კვერცხებს წითლად ღებავენ, რაც ქრისტეს ვნების სიმბოლოა. სააღდგომო კვერცხებს აღდგომის დღემდე არავინ მიირთმევს. აღდგომის წინა დღეებში აცხობენ ასევე სააღდგომო პასკას. ბოლო წლებში სააღდგომო ტრადიციის აუცილებელ ატრიბუტად იქცა მომცრო ჭურჭელში ჯეჯილის გაზრდა, რაც სიცოცხლესა და განახლებას უკავშირდება. სააღდგომოდ გაზრდილ ჯეჯილს წითელ კვერცხებს შემოუწყობენ ხოლმე. აღდგომის დღესასწაულს მორწმუნეთა დიდი ნაწილი ეკლესიაში ხვდება და საზეიმო ლიტურგიას ესწრება, რომელიც დილამდე გრძელდება.

აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში, შეხვედრისას, ადამიანები აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს, მისალმების ნაცვლად ამბობენ - „ქრისტე აღსდგა“! და პასუხობენ - „ჭეშმარიტად“! (ადრე ეს ტრადიცია აღდგომიდან 40 დღეს გრძელდებოდა).

აღდგომას ყოველ ოჯახში იშლება საზეიმო სუფრა, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს სააღდგომო წითელი კვერცხები და პასკა. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ სააღდგომო კვერცხების ერთმანეთზე დარტყმის ტრადიცია. ყველა ცდილობს რაც შეიძლება რთულად დასამტვრევი კვერცხი შეარჩიოს, ვისი კვერცხიც დარტყმისას არ გატყდება, მოწინააღმდეგის გატეხილი კვერცხიც მას ერგება.

საქართველოში დამკვიდრებულია აღდგომის მომდევნო დღეს სასაფლაოზე გასვლის ტრადიცია. ადამიანები ახლობელთა საფლავებზე გადიან, მიაქვთ სააღდგომო კვერცხი, პასკა, მცირედი სასმელი და საკვები, მოიხსენიებენ მიცვალებულებს და სააღდგომო კვერცხებს საფლავზე ტოვებენ.

აღდგომის მომდევნო კვირას კვირაცხოვლობა აღინიშნება.

საქართველოში ცნობილია ძველი სააღდგომო ტრადიციები, რომლებიც დღეს უკვე მივიწყებულია. ერთ-ერთი გამორჩეული ტრადიციაა ჭონა, რომელიც თავისი ხასიათით საშობაო ალილოს მიაგავს. მეჭონეები სააღდგომო სიმღერით მიდიოდნენ სოფლის ყველა ოჯახში და დღესასწაულს ულოცავდნენ. ოჯახი მეჭონეებს კვერცხებით, ტკბილი კვერებით და ფულითაც ასაჩუქრებდნენ. დღის ბოლოს, შეგროვილი სანოვაგით სოფლის მთელი ახალგაზრდობა ერთად აღნიშნავდა აღდგომას.

განსხვავებული ტრადიციები არსებობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ყაზბეგში, სოფელ სნოში დამკვიდრებული ძველი ტრადიციაც ძალიან ჰგავს ჭონას. აღდგომას ახალგაზრდა ვაჟების მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი, სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცის ხელმძღვანელობით, სოფლის ყველა ეზოში შედიოდა აღდგომის მილოცვით. მოსულებს ოჯახის წევრები გამოეგებებოდნენ, დიასახლისს კი შესაწირი გამოჰქონდა. ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ სააღდგომო კვერცხებს ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ, თან ხმამაღლა ამბობდნენ, ვის სახელზე იდებოდა კვერცხი. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები ისრებს ესროდნენ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხვევები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილი შესაწირით საერთო ზეიმი იმართებოდა, ფული კი სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

სამეგრელოში აღდგომა დღეს პურის კვერებს აცხობდნენ ყველითა და კვერცხით და განსაკუთრებული ქვევრის - ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. ოჯახის უფროსი, რომელიც დილიდან წყალსაც არ სვამდა, შუადღისას ხონჩაზე აწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო ქვევრის თავზე აწყობდა,



შემდეგ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

რაჭაში აღდგომა დილით პურის ფაფას აკეთებდნენ და ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახში მიდიოდა და აკურთხებდა. ვისაც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა ოჯახის წევრი, სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის ბარკალს, ლავაშს და სხვა სანოვაგეს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ აღნიშნავდნენ, აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და დიდი ზეიმი იმართებოდა.

გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ღელო იმართებოდა. ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა შავი ღვინის, თაფლისა და ბროწეულის წვენის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ სიმხნევისათვის.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს და ღორს კლავდნენ. ასევე აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

სვანეთში მოსახლეობა სოფლის მთავრ ეკლესიაში ესწრებოდა წირვას. სააღდგომო ზეიმი მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და სრულდებოდა „**უფლიშით**“ - კვირაცხოვლობის დღესასწაულით,რომელსაც სვანეთში დღესაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

ნამუშევრებში მთელ სულსა და გულს დებს

ამ ბოლო დროს, საახალწლო სუფრის მსგავსად, სულ უფრო და უფრო მეტად პოპულარული ხდება სააღდგომო სუფრის საზეიმოდ გაწყობა. ტრადიციულ წითლად შეღებილ სააღდგომო კვერცხთან ერთად სააღდგომო სუფრას ადამიანები სხვადასხვა სახის თემატური დეტალებით ალამაზებენ.სავაჭრო ობიექტები თუ ონლაინ სივრცეები მრავალფეროვან და გამორჩეულ სააღდგომო დეკორაციებს სთავაზობენ მომხმარებლებს.

სააღდგომოდ ფერადფერადად შეღებილი კვერცხები, კურდღლები თუ პასკები, თავს ლამაზად იწონებენ დახლებზე, ხელოვანებიც ცდილობენ, რომ თანამედროვე ტენდენციებს არ ჩამორჩნენ და საკუთარი ხელით დაამაზადონ სააღდგომო თემატიკის ნივთები.

ბორჯომელი ხელოვანი- **მაიკო აბზიანიძეც** იმ ადამიანთაგანია, რომელმაც გასულ წელს სხვის მიერ დამზადებული სააღდგომოდ მოხატული დეკორატიული კვერცხი შეიძინა და იმდენად მოეწონა, რომ შემდგომში იდეა გაუჩნდა, თვითონვე დაემზადებინა საკუთარი ხელით და წელს უკვე თავად ქმნის ულამაზეს ფერადფერად სააღდგომო კვერცხებს. მასალად გამზადებულ თაბაშირის კვერცხის ფორმებს იყენებს, რომლებსაც საკუთარი გემოვნებით ხატავს, ამასთან სხვადასხვა ულამაზეს ფერადი, წვრილი ქვის კრისტალებით ალამაზებს. მაიკოს დამატებით სურდა, რომ კვერცხს სააღდგომოდ, თემატური წარწერაც ჰქონოდა - ,,ქრისტე აღსდგა!”. სულ რამდენიმე კვირაა, რაც სააღდგომო დეკორატიულ კვერცხებს ულამაზესი ბაჭიებიც მიუმატა, რომლებსაც აკრილის საღებავებით ღებავს. საკუთარი ხელით ძერწავს სხვადასხვა ზომის ბროწეულებს.მის თითოეულ ნამუშევარს ეტყობა რომ მთელ სულსა და გულს დებს.

საკმაოდ შრომატევადი აღმოჩდა, თუმცა პროცესი რომ სიცოცხლეს მატებს ყოველ ფუნჯის შეხებით თითოეულ ნივთს, რაღაც საოცარ შეგრძნებას გგვრის.

- არის დღეები, როდესაც 30 ცალი მომიხატავს, ზოგჯერ 50 ცალიც კი. არის მომენტები, როდესაც მიკვეთავენ კონკრეტული თემატიკით ან ფერის სურვილით... ამ ბოლოს კი ბაჭიებიც დავამატე და საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. ვცდილობ, ფასიც ისე დავაბალანსო, რომ ყველამ შეძლოს შეძენა.

ინტერესი, ჩემ პირად ფეისბუქის გვერდზე დადებული პირველივე ნუთებიდან წამოვიდა, რადგან იდეებს არავისგან ვიღებ, ვცდილობ, ჩემი ფანტაზიით მოვკაზმო.

მყავს ბევრი მომხმარებელი, მათი მადლიერი ვარ ყოველთვის. ბაზარზე კონკურენცია დიდია, თუმცა მე ბორჯომის გარდა სხვა ქალაქებშიც გამიგზავნია შეკვეთა და ყველა მომხმარებელი უზომოდ მადლიერი და კმაყოფილია, -მიყვება მაიკო.

ვულოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს შესანიშნავ ხელოვანს და წარმატებებს ვუსურვებთ შესანიშნავ საქმიანობაში.

ნატო მელიქიძე.

შენ შვილს მთელი ქალაქი ტირის!

85 წლის ლილი ბებო უჩვეულო გარემოში გავიცანი, საავადმყოფოში. 2 წლის წინ შვილის დაკარგვით გამოწვეულ უმძიმეს ტკივილზე მიამბო, მითხრა რომ უფალი განსაცდელს რომ გიგზავნის, იმასაც გიგზავნის როგორ გაგაძლიეროსო.

-უფალსაც თავისთან კარგი უნდა, - უთხრა სევდიანი ხმით იქვე მჯდომმა ქალბატონმა **მანანა აიწურაძემ**.

- შენ შვილს მთელი ქალაქი ტირის!

- გაძლიერდი, არ იტირო!

ეუბნებოდნენ სულისა და ხორცის ტკივილის შესამსუბუქებლად, მაგრამ შვილმკვდარი დედის გზა, ასე მარტივად შესამსუბუქებელი როდია.

- დღედაღამ ვლოცულობ, უცნობებისთვისაც. მშვიდობით დაბრუნდნენ სახლებში-მეთქი. ჩემი შვილი სამსახურში წავიდა და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

დილით სხვანაირად ლამაზი მომეჩვენა, სხვა სევდით გავაყოლე თვალი. თურმე ეს ბოლო შეხვედრა იყო ჩვენი.

ავთანდილ ხაჩიძეს, როგორც ვაჟკაცობითა და მეგობრობით, შრომისმოყვარეობით გამორჩეულ პიროვნებას ბორჯომში ყველა იცნობდა.

ლილი ხაჩიძე-ბუდაძემ მისი დაწერილი რამდენიმე ლექსი გამაცნო, წაკითხვა რომ დაიწყო, თითქოს მის თავზე დატრიალებული შავი ღრუბელიც კი გაიფანტა.

***

მომნატრებია ჩემი სოფელი,
მომნატრებია ბავშვობის ხანა,
მინდა ყველაფერს ერთად შევეხო,
უკეთ შევიგრძნო მე თქვენი ძალა,
მინდა გავიჭრე მინდვრებში მარად,
სადაც ოდესმე მე მირბენია,
დამიკრეფია მინდვრის ყვავილი
და დედისათვის მიმირთმევია.

ბორჯომზე დაწერილი ლექსის წაკითხვამ კი კიდევ მეტი სიყვარული, ნათელი ფერი და ადამიანის მარადიულობა დამნახა. არსად არასდროს არაფერი არ იკარგება და არც შემთხვევით არაფერი არ ხდება. მალე აღდგომა ჩვენს გულებში იდღესასწაულებს.

***

„ბორჯომს დახატვა არ უნდა
ბუნებით არის ნახატი,
გარს შემორტყმული ნაძვნარით,
ულამაზესი ნაკრძალით,
ნაკრძალში ერთად ბინადრობს
დათვი, ირემი, შველი,
ყველა აქ მოსულს აოცებ
შენი წარმტაცი მთებით,
ბილიკ-ბილიკით აივლის,
დაბურულ ფიჭვნარს, ნაძვნარს,
ჰაერს ისუნთქავს გაფილტრულს,
სიცოცხლეს იგრძნობს მარადს.
ორად გაყოფილ ქალაქში,
შუა ჩამოდის მტკვარი,
ბევრის მომსწრე და მნახველი,
მაგრამ უტყვი და წყნარი.
ყველაფრის ამის შემყურე
სიყვარულით ვარ მთვრალი,
თვალებს გავახელ გამოვფხიზლდები,
მკლავებს გავშლი და ვიტყვი,
რა ლამაზი ხარ ჩემო ხეობავ,
გულში ჩაგიკრავ სიტყვით.
მერე გავხედავ ყველა სალოცავს,
შევევედრები გფიცავთ,
ღმერთო დალოცე - ჩემი ბორჯომი,
ჩემი ხალხიც და მინაც.”

იზა იანკარაშვილი

არდავიწყება მოყმისა...!

ბორჯომის წინაშე ვალმოხდილი

21 მარტი მიცვალებულთა მოხსენიების დღეა და მინდა გავიხსენო ბორჯომელთათვის კარგად ნაცნობი და ყველასათვის საყვარელი პიროვნება, ბატონი სამსონ გუგუბერიძე, კაცი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება რაიონის ინტერესების დაცვას, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას შეალია.

ბატონი სამსონი 1916 წლის 23 სექტემბერს დაიბადა, ახალდაბაში. 17 წლის ჭაბუკმა ჩამომსხმელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, საამქროში კომკავშირული ბრიგადა ჩამოაყალიბა და სტახანოველიც გახდა.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს და ფინეთის ომმა მოუსწრო, შემდეგ დიდ სამამულო ომში იბრძოდა, ასეულის კომსორგი და სერჟანტ-მეტყვიამფრქვევედ გაამწესეს, იყო ლენინგრადის დამცველთა შორის. მძიმედ დაჭრილი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. გამოჯანმრთელების შემდეგ ჯერ მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტი და შემდეგ ლენინგრადის საფინანსო ინსტიტუტი დაამთავრა. მუშაობა დაიწყო ბორჯომის რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორად. მალე რაისაბჭოს აღმასკომში საფინანსო განყოფილების გამგედ დანიშნეს, სადაც 45 წელი კეთილსინდისიერად იმუშავა. წლების მანძილზე მრავალი სიკეთე აკეთა. ყველას ტკივილი გულთან მიჰქონდა და უწვდიდა დახმარების ხელს. უპრეტენზიო კაცი იყო, ზედმიწევნით თავმდაბალი, უსპეტაკესი სულის, მისი ყოველი საქმე სიკეთის, კაცურ-კაცობის სანიმუშო მაგალითი იყო. იცნობდნენ საქმისადმი პრინციპულსა და სიძნელეებისადმი შეუპოვარს, ყველა ძნელად მოსაგვარებელ საქმეზე მას მიმართავდნენ. მრავალჯერ იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად, 1948 წლიდან 1987 წლამდე იყო რაი-აღმასკომის და რაიონული კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი.

საკავშირო ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით, 1951 წელს მიენიჭა საფინანსო სამსახურის მრჩეველის წოდება, 1953 წელს დაჯილდოვდა შრომის ფრიადოსნის მედლით, 1961 წელს, სსრკ ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით მიენიჭა ,,საფინანსო სამსახურის ფრიადოსნის“ წოდება.

1967 წელს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო იმავე წლის დეკემბერში, სახალხო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის - ,,დამსახურებული ეკონომისტის“ წოდება მიანიჭეს. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით და 17 მედლით. მათ შორის მედლით ,,ლენინგრადის დაცვისათვის“.

მოსახლეობის საკავშირო აღწერის კეთილსინდისიერად ჩატარებისათვის, 1979 წელს, დააჯილდოვეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

1985 წელს კი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველი ხარისხის მედალი და სსრკ ფინანსთა სამინისტროს საპატიო სიგელი გადასცეს.

ბატონი სამსონი ახალგაზრდობაში ფეხბურთს თამაშობდა და ფანატიკურად იყო შეყვარებული ფეხბურთზე, იგი 36 წელი ფეხბურთის რაიონულ ფედერაციას ხელმძღვანელობდა. მისი დიდი დამსახურებით აშენდა ქალაქის სტადიონი, - გმირობა ჩაიდინა. იცოდა, „ზემოდან“ საყვედური არ აცდებოდა, ,,სტადიონი ხომ მაინც შერჩა რაიონსო“ - ხშირად უთქვამს. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, სტადიონის მშენებლობაზე გათენებამდე ფიზიკურად მუშაობდა, ბალახის ბელტებს აგებდა მოედანზე.

წლების მანძილზე, გაზეთ ,,ბორჯომის” რედაქციის აქტიური კორესპონდენტი იყო და პოპულარიზაციას უწევდა სპორტის სახეობებს, განსაკუთრებით - ფეხბურთს.

პენსიაზე გასული საზოგადოებრივ საქმიანობას ვერ ჩამოცილდა, წლების მანძილზე რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, სიჭარმაგის მიუხედავად, მაინც სოციალურად დაუცველ თანამებრძოლთა თუ ვეტერანთა დასახმარებლად იღვწოდა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასა ბატონ სამსონის ღვაწლი. 1996 წელს 80 წლის იუბილე ღირსეულად გადაუხადა და ბორჯომის საპატიო მოქალაქედ აირჩია.

მისი თანაშეზრდილი, შოთა სტეფნაძე თავის წერილში წერდა: **„თქვენ ქალაქის კოლორიტი და რჩეული ხართ, მინდა ყველა პატივისმცემელის სახელით მოგმართოთ“ - „ვით ენგური ენგურობს და რიონი რიონობს, შენი კაი კაცობა ჩირაღდნობს, ლამპიონობს, მადლი შუქად დაღვრილი, ყველგან თან რომ დაგყვება, გზას გვინათებს დაღლილებს, რომ სვლა გაგვიიოლოს, ამდენ სითბოს რომ გვაწვდი, ალბათ მზეს პარტნიორობ“.**

ბატონი სამსონი უსპეტაკეს კაცად იყო ცნობილი. გარეგნობითაც მაღალი, მოხდენილი, მეტყველი თვალებით. მის ხმაში და ხასიათში იკვეთებოდა რომანტიულობა, დიდბუნებოვნება და საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა...

ბატონმა სამსონმა 27 წელია, რაც მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა და ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

დღეს კი გვინდა, მასთან ერთად გავიხსენოთ ყველა ის ადამიანი, ვინც ჩვენი რაიონის ისტორიის ფურცლებს წარმოადგენენ.

ნათელა ტაბატაძე,
სოფელი სადგერი, პენსიონერი პედაგოგი.

შვილის საფლავისაკენ - გზა გოლგოთის გზაა!!!

როდესაც იბადები სიკვდილისკენ მიმავალ გზას ადგები. ანუ ეს ცხოვრებისეული, შეუცვლელი ფორმულაა - რაკიღა დაიბადე, გამოდის, რომ სიკვდილი გარდაუვლია. ადამიანი იბადება, იზრდება და ბოლოს კვდება. თუმცა, რამდენად გამოუცნობია უფლის ნება იმ გამონაკლისი შემთხვევების დროს, როდესაც დედის წიაღშივე კვდება შვილი, ან კიდევ სულ რაღაც რამდენიმე წუთით, საათით ან დღით მოევლინება სამყაროს და ზრდასრულ ასაკამდე ვეღარ აღწევს.

რამდენად ამოუცნობია მართლაც უფლის ნება. სამწუხაროდ, ყველანაირ შემთხვევაში, ადამიანები, ანუ ისინი, ვინც ამ სამყაროში რჩებიან და აგრძელებენ ცხოვრებას, იმ ტკივილთან ერთად უწევთ საკუთარი ყოფისა და ყოველდღიურობის გაგრძელება, სადაც სხვა ოჯახის წევრები არსებობენ მათთვის და თითქოს თავს ინუგეშებენ, რომ ოჯახის სხვა წევრებს ჭირდებიან. თუმცა, ბევრი მხოლოდ საკუთარ თავთან რჩება, ყველანაირი ახლობლისა თუ ოჯახის წევრის გარეშე. აი, ყველაზე მტკივნეული და გაუსაძლისი ტკივილით კი ის ადამიანები ცხოვრობენ, ვისაც შვილები ჰყავთ გარდაცვლილი. ადამიანებმა მათ სახელიც ვერ მოუძებნეს, რადგანაც დედ-მამის არ მყოფს ობოლი უწოდეს, ცოლისა და ქმრის არ მყოფს - ქვრივი. აი, ვისაც შვილი აღარ ჰყავს, მათ პირდაპირ შვილმკვდარს უწოდებენ.

ჩვენ, ქართველებმა, ყველაფერი ზედმეტი და გადამეტებული ვიცით, ბევრჯერ გვსმენია და დიდ ტკივილსა და ტრაგედიასაც სულ სხვანაირად გამოვხატავთ. სამგლოვიარო ფერიც კი შავია. ჭირისუფალთა უმრავლესობა სწორედ შავი ძაძებით ატარებს საკუთარი ცხოვრების დარჩენილ წლებს და ვაი მას, ვინც გაბედა და გლოვის ფერი იმაზე ადრე მოიცილა, ვიდრე დადგენილი წესჩვეულებები ავალდებულებს. საკუთარ ტრაგედიაზე მეტი საფიქრალი და სადარდებელი დაატყდება თავს - ახლობელი რა მალე დაივიწყაო! ვაი მას, ვინც გარდაიცვალაო!- ზურგს უკან იწყებენ მათ გაკიცხვას. თუმცა, განა ვინმე იყურება სხვის გულში? რა ხდება დედის, მეუღლის, შვილის გულში, ვინც უშუალოდ დაკარგა ახლობელი? განა ვინმემ იცის, რომ მარტოდ დარჩენილი რამდენჯერ თვითონაც გარდაიცვალა? განა ფიზიკურად? არამედ სულიერად და რამდენჯერ ისევ უფლის რწმენითა და ფიქრით დაუბრუნდა საკუთარ გაუსაძლის ყოფას? რამდენი თავს იკლავს, იმის გამო, რომ საკუთარ თავს დატეხილ ყოფას ვერ ცვლის და უმკლავდება, მაგრამ მაშინაც არ ელევათ გამკიცხველი - იმდენად სუსტი აღმოჩდა, რომ ტკივილს ვერ გაუძლო და თავი მოიკლაო.

აღდგომის დღეებია და ბევრჯერ მიფიქრია მშვილმკვდარ დედებზე, რომელთა ცხოვრებაც ამ სამყაროში, ფაქტიურად, სიცარიელეა. ამ დროს, ჟურნალისტ მაია ასათიანის ნათქვამი მახსენდება, სადაც გარდაცვლილ შვილზე საუბრობს, - თურმე შვილის საფლავზე ხშირად არ დადის, რადგანაც უნდა, რომ მიწა ამოთხაროს და შიგ ჩაწვეს. მგონი, ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი.

ნუთუ რამე დააშავეს შვილმკვდარმა დედებმა, რომ ცოცხლები დარჩნენ? განა არ იცით, რომ აღდგომის დღეებში და სხვა დღეებშიც, შვილის საფლავისაკენ მიმავალი გზა მათთვის გოლგოთის გზაა?

დიახ, კარგად იცით, თუმცა საქილიკო ადამიანებს არ ელევათ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბევრჯერ, თავად სიკვდილიც ვერ უწესებს საზღვრებს ადამიანთა დაუოკებელ ინტერესს, რომ სხვისი ცხოვრება განიკითხონ.

p.s. უფალმა ყველა შვილმკვდარ დედას (მშობლებს) მისცეს იმის ძალა, რომ სულიერად არ დაეცნენ და საკუთარ შვილთან შეხვედრას უფლის მოლოდინით დაელოდნონ; ხოლო თქვენ, ადამიანებო, მეტად გონიერნი, მიმტევებლები ყოფილიყავით, თქვენ გულებში აღმდგარი მაცხოვარი იშვას. ჩვენ ხომ წუთისოფელში ვცხოვრობთ, გარდაცვლილები - მარადისობაში განისვენებენ. ხსოვნა მათ სულებს, სანთელ-საკმეველი არ მოკლებოდეთ. მათი არ დავიწყება ხომ ცოცხლების ვალია.

ნატალია მესხელი

ქალაქის სასაფლაოს მეტი მზრუნველობა!

აღდგომის მეორე დღე მიცვალებულთა მოხსენიების დღეთაა აღიარებული. ყველა ჭირისუფალი, თითოეული გარდაცვლილის პატრონი, მოვალედ თვლის თავს ეწვიოს სასაფლაოს, მისთვის საყვარელ მშობელს, წინაპარს თუ ახლობელს; სანთელი დაუნთოს, გულზე წითელი კვერცხი გადაუგოროს, ერთი ჭიქით შესანდობარი შესვას, საფლავს ხელი შეავლოს, დაასუფთაოს ირგვლივ ტერიტორია და ვალმოხდილი წამოვიდეს შინისაკენ. ეს მოვალეობა თითოეულ ჭირისუფალს გულისფიცარზე აწერია და მოვალედ თვლის ამ რიტუალით პატივი მიაგოს თავის გარდაცვლილს.

ბევრჯერ დაგვიწერია, რომ ბორჯომის ქალაქის სასაფლაო 200 წლისაა, იმქვეყნად წასული ადამიანების რიცხვი ჩვენდა სამწუხაროდ, კი არ კლებულობს, მატულობს, ქალაქის სასაფლაოს საზღვრები კი დღითიდღე იზრდება და ფართოვდება. სამწუხარო ისიცაა, რომ ზოგიერთი ჭირისუფალი სათანადოდ არ უვლის ახლობლის საფლავს, თუ საფლავიდან ნაგავს გამოიტანს, ან გზის პირზე დაყრის, ან იქვე მეზობლის საფლავზე მიაყრის.

ისტორიული, ძველი სასაფლაოს მოწესრიგება და მისი ახლებურად მოწყობა შეუძლებელი ხდება. დიდი ხანია, რაც სასაფლაოს საზღვრები ეროვნული პარკის საზღვრებსაც გასცდა.

ქალაქის სასაფლაოზე დასაქმებული 5 თუ 10 კაციანი ბრიგადა ვეღარ აუდის სასაფლაოდან ნაგვის გატანას, უსაშველოდ დავიწროვდა საავტომობილო გზა, ორი მანქანა გვერდს ვეღარ უქცევს. დღის წესრიგში დადგა ახალი სასაფლაოსთვის ტერიტორიის გამონახვა. არდაგანის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოც გადავსებულია მიცვალებულებით, დიდი ხანია დარღვეულია მიცვალებულთა დაკრძალვის ნორმები, ზოგიერთებმა ისეთი მასშტაბური ტერიტორია შემოღობა, საფლავი კი არა, სახლი ჩაიდგმება.

ქალაქის ისტორიულ სასაფლაოზე ბევრი მეტად მნიშვნელოვანი სკულპტურული საფლავები და ბევრი სახელოვანი ადამიანი განისვენებს. სასაფლაო ჩვენი ქალაქის ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ვისაც ევალება, კიდეც უნდა შევისწავლოთ ამ ღირსეულ ადამიანთა ისტორიები.

ქალაქის სასაფლაოზე თვალში საცემია მარმარილოს ჯვარი, რომლის სიმაღლე თითქმის ორ მეტრზე მეტია, საფლავის ქვაზე არსებული წარწერა გვაუწყებს, რომ ,,აქ განისვენებს 1860 წელს დაბადებული და 1892 წელს გარდაცვლილი კოსტანცია სტეფანეს ასული გურგენოვა“; როგორც ამბობენ, ამ ახალგაზრდა ქალის მშობლები თბილისელი მდიდარი ვაჭრები ყოფილან. გარდაცვლილი გადამდები ავადმყოფობით ყოფილა ავად და ბორჯომში დაუმარხავთ.

მეორე, მეტად საინტერესო სკულპტურა ეკუთვნის მარიამ ილიას ასულ მაისურაძეს, რომელიც 18 წლის ასაკში გარდაცვლილა.

ასეთი ძეგლები სხვაც ბევრია ჩვენს ისტორიულ სასაფლაოზე. სხვათაშორის სასაფლაო ინახავს რუსეთიდან იძულებით გადმოსახლებულ დეკაბრისტებსაც და სხვა თვალსაჩინო ადამიანებსაც.

რა თქმა უნდა, ბევრი საფლავი ან გაუქმებულია, ან სერიოზულად დაზიანებულია, მათი აღდგენა შეუძლებელია და აღარც

მემკვიდრეა ცოცხალი. საფლავებს კი, სერიოზული მოვლა-პატრონობა ესაჭიროება, ეს კი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

სასაფლაო თითოეული ჩვენთაგანის მარადიული სამყოფელია, მას განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა ესაჭიროება.

ქალაქის კოლორიტი და ერთგული პიროვნება

რამდენიმე დღის წინათ ბორჯომის ხეობის მკვიდრს, თხემით ტერფამდე მის დიდ მოსიყვარულეს და ისტორიის შესანიშნავ მცოდნეს, ბორჯომის გულმხურვალე პატრიოტს, დიდ გულშემატკივარსა და კოლორიტულ პიროვნებას, ბატონ ლერი ხუჭუას დაბადებიდან 77 წელი შეუსრულდა.

ამბობენ, ორშვიდიანის აღმნიშვნელი ციფრი ადამიანისათვის ბედნიერებისა და დიდი სიყვარულის მომტანი თარიღიაო. ჰოდა, გადავწყვიტე, ბორჯომისა და ბორჯომელების სიყვარულის გამზიარებელს, ორიოდე სიტყვით მოვეფერო, დიდხანს სიცოცხლე და წელთა სიმრავლე უსურვო.

ამ წერილს მასთან შეთანხმების გარეშე ვწერ და თუ რაიმე გამომრჩება და უზუსტობას დავუშვებ, იმედია, ბატონი ლერი მაპატიებს.

ბატონი ლერი ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა, მამამისი სატყეო მეურნეობის დარგის დამსახურებული მუშაკი იყო და ბორჯომში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ბორჯომში დასასვენებლად ჩამოსული სტუმრები, პოეტები, მწერლები, მსახიობები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სატყეო დარგის სპეციალისტები.

ასეთ ატმოსფეროში გაზრდილი მოზარდი მრავალი სასიკეთო თვისებას ისრუტავდა და ეს სიკეთე წმინდა კელაპტარივით ენთო მისი ცხოვრების გზაზე.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი დაამთავრა და მშობლიურ ბორჯომში სწავლულ მეტყევედ დაბრუნდა. რამდენიმე წელიწადში გაიარა გზა რიგითი მეტყევიდან სატყეო მეურნეობის დირექტორამდე. ერთხანს წაღვერის სახერხი საამქროს დირექტორიც იყო. კარგად მახსოვს, როცა თბილისში, რესპუბლიკური მნიშვნელობის ,,დინამოს“ სტადიონი შენდებოდა, იმ წლებში, ახალბედა ჟურნალისტი ვიყავი და ერთ დღესაც, რედაქტორმა დავალება მომცა, რესპუბლიკური სტადიონისათვის, ხის მასალა წაღვერის სახერხში იხერხება და ბორჯომის რაიონის ეს დიდი წვლილი უნდა შევისწავლოთ და გაზეთში ნერილიც უნდა გამოვაქვეყნოთო. გამეხარდა, რომ ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად წერილი უნდა დამენერა. მეორე დღეს წაღვერის სახერხს მივადექი: დირექტორი, მხერხავები, მძღოლები, მუშები ყველა თავის საქმეს ერთგულად ასრულებდა. სწორედ მაშინ გავიცანი ლერი ხუჭუა, წერილისთვის მასალა უბის წიგნაკში მოვინიშნე. ის წერილი გაზეთ ,,ბორჯომშიც“ დაიბეჭდა და იმავდროინდელ ,,კომუნისტშიც“. მას შემდეგ ვმეგობრობ ბატონ ლერისთან.

იშვიათად ნახავთ ლერის მსგავს სამეგობრო და საძმაკაცოდ შემართულ ერთგულ და უღალატო პიროვნებას. დაუვიწყარია მის გვერდით ყოფნა. მუდამ ღიმილიანი, ტკბილად მოუბარი, თავაზიანი და საკმაოდ განათლებული პიროვნებაა.

სწორედაც რომ ლერი ხუჭუას მსგავს პიროვნებაზე იტყვიან ხოლმე, კაცური კაციაო,ღირსეულად იცხოვრაო, რომელსაც გათვითცნობიერებული აქვს, თუ რისთვის მოვიდა ამ ქვეყანაზე, მისი მიზანიც ცნობილია: სიყვარულით ემსახუროს სამშობლოსა და მშობლიურ ბორჯომს.

სხვათაშორის, ბატონ ლერის, ქვეყნისათვის მეტად მძიმე წლებში მოუხდა სატყეო მეურნეობაში მუშაობა. 90-იანი წლები კარგადაა ცნობილი, როგორი განუკითხაობის, ძალადობისა და ავკაცობის პერიოდი გამოვიარეთ. უსამართლოდაც დასაჯეს, მაგრამ სამართალმა პური ჭამა და მალე დაუბრუნდა საყვარელ საქმეს. ერთდროულად ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობის დირექტორიც იყო. ბრაკონიერებს და ტყის მავნებლებს ერთდროულად ებრძოდა. ბევრი კარგი საქმეც აკეთა. ნინოწმინდა-ახალქალაქის საავტომობილო გზის გასწვრივ მწვანე საფარიც დარგო და გაახარა, პლატოს ტყე-პარკის გაჩანაგებული კორომების აღსადგენადაც ბევრი იშრომა. სხვაც ბევრი სიკეთე აკეთა. ეს რაც შეეხება მის პროფესიულ საქმიანობას, მაგრამ მისი კაცურ-კაცობა და თვით ბორჯომისა და ბორჯომელების მიმართ გამორჩეული სიყვარული უსაზღვროა და ამოუწურავი.

ამ ოციოდე წლის წინ, საყვარელი მეუღლე გარდაეცვალა. დამეთანხმებით, მარტოსულობა და ასკეტური ცხოვრება ერთობ ძნელია, ამიტომაც არის რომ შვილებს, შვილიშვილებს, მეგობრებს ეულად არასდროს მიუტოვებიათ.

ლიკანის ბოლოში არსებული მისი სახლი ხშირად მეგობრების თავშეყრის ადგილია. ლერიც გულღია მასპინძელია,ამასთან შესანიშნავი მზარეულიცაა. ვინ აღარ სტუმრობს ლერის: პარლამენტარები, მინისტრები, მაღალი თანამდებობის პიროვნებები, უცხოელები. ყველასთან პირნათელი და კეთილი მასპინძელია. კმაყოფილ სტუმრებს თან მიყვებათ ოჯახის დიდი სითბო და ენამჭერვი თამადის გულისხმიერი სადღეგრძელოები.

რაც მთავარია, ლერი ხუჭუა ბორჯომის დიდი მოსიყვარულე პიროვნებაა. ერთ რამედ ღირს მის გვერდით ყოფნა, საუბარი და მოლხენა.

აი, ასეთი კაცური კაცის საიუბილეო თარიღი აღნიშნეს მისმა მეგობრებმა ამ რამდენიმე დღის წინათ. სწორედაც რომ, ლერის მსგავს პიროვნებაზეა ნათქვამი:

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
ალბათ, ესეც, გმირობაა დიდი...
მრავალჟამიერ, შენს კაცობას და
სიცოცხლეს ჩემო ლერი!

ვალერიან ლომიძე.

ერთა ნათლის მამას – ილია მეორეს

არსის საყდრისა მსახურო, სიტყვისა სახიერისა,“
ცოცხალო ხატო და სახევ, უფლისა მშვენიერისა,
ნათლის მამაო ივერთა ამიერ-იმიერისა,
ცხოვართა მწყემსო კეთილო, მოძღვართ-მოძღვარო ერისა,
სიბრძნის და ჭეშმარიტების ნიადაგ მოქადაგეო.
ქრისტეს მართლმადიდებლობის საგალობელო ბაგეო,
ნეტავ, ვინ მოსთვლის რამდენგზის მადლის ქვა ქვაზე დადეო,
შენს უძღებ შვილებს უშრომლად წყალობა გვიწილადეო,
შენ ხარ წმინდა ბარძიმი საღმთო სამხილით სავსეო,
რომელი საიდუმლოდა ქერუბიმთ მიემსგავსეო,
უფლისმიერო სიმშვიდევ, უღრუბლო ცაო ნათელო,
თუმც დნები - მაინც ანთიხარ, სამკვეთლოს თაფლის სანთელო,
ჩვენ საზრდოდ გვაძლევს გოლეულს - თვით ნაღველს იღებ მწარესო,
ღვინის მწდევ, პურის-უფალო, იესომც გაგახარებსო,
ღვთივ შეწირულო ზვარაკო, ერთი ათასჯერ დაგკლესო,
ხელით უბრალოვ, გულითა - თოვლივით უსპეტაკესო,
სამარადჟამოდ გეცოცხლოს - მამაო, უნეტარესო!..

იოსებ ხოხონიშვილი,
დეკანოზი.,

მიეძღვნა დედა ენის დღეს

14 აპრილს, სსიპ ქ. ბორჯომის N 3 საჯარო სკოლაში დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღია გაკვეთილი ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზატორები ამავე სკოლის ხელოვნების პედაგოგი ქალბატონი ნინო კევლიშვილი, კალიგრაფიული კლუბის ,,ოქროს ანბანის'' წევრები და V 1 კლასის იყვნენ.

ღია გაკვეთილზე მოსწავლეებმა საკუთარი ხელით დამზადებული ხელნაკეთი წიგნები წარმოადგინეს. ღონისძიება შესანიშნავი პრეზენტაციით გახსნეს კლუბ ,,ოქროს ანბანის'' წევრებმა - ანამარია გასიშვილმა და მარიამ ქურდაძემ. გოგონებმა საინტერესოდ ისაუბრეს ქართული ენის მნიშვნელობასა და ისტორიაზე. მათ აღნიშნეს, რომ 14 აპრილი ქართველთა ზეიმის დღეა, რადგანაც 1978 წლის 14 აპრილს, ქართველთა პატრიოტიზმმა და ერთსულოვნებამ შეუძლებელი შეძლო. დაიცვა მშობლიური ენის კონსტიტუციური უფლება, როდესაც მას რუსულ-საბჭოური ძალა დაუპირისპირდა და ძალა, რომელსაც უკან დახევა არ სჩვეოდა, საბოლოოდ ერთსულოვნებამ დაამარცხა. პრეზენტატორებმა ,,ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის''შესახებ

საინტერესოდ მიმოიხილეს ქართული დამწერლობის საფეხურები. ქართული კალიგრაფიის მნიშვნელობასა და კალიგრაფიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელზე, ალექსი მესხიშვილზე უაღრესად საინტერესო და ინფორმაციული ცნობები მოგვანოდეს. ასევე წარმოგვიდგინეს 23 წლის კალიგრაფისტის, მწერლისა და მხატვრის **გიორგი სისაურის** ნამუშევრები და ბიოგრაფიული ცნობები. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გიორგი სისაური სწორედ ის ხელოვანია, რომელმაც საკუთარი ნამუშევრებით შეძლო ლუვრის ექსპერტების გაოცება. მან მოახერხა შანელის მოდის სახლის ყურადღება მიეპყრო და 5 წიგნის, 600-მდე გრაფიკული ნამუშევრისა და 200-მდე კალიგრაფიული ნიმუშევრის ავტორი გამხდარიყო.

სწორედ ქართული ანბანისა და ქართული კალიგრაფიის ხელოვნების პოპულარიზაციაშია აქტიურად ჩართული ბორჯომის №3 საჯარო სკოლაც და ზემოთ აღნიშნულ მიზანს ემსახურება კალიგრაფიული კურსი ,,ოქროს ანბანი'' ქალბატონი **ნინო კევლიშვილის** ხელმძღვანელობით.

ღია გაკვეთილის ფარგლებში დაწყებითი, საშუალო და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა კალიგრაფიული ნამუშევრები შეასრულეს. სიამოვნებით ჩავერთეთ ლამაზად წერის ხელოვნების საქმეში მიწვეული სტუმრებიც.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხემძღვანელი, ქალბატონი **ხათუნა ხარაზიშვილი**, ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი, ქალბატონი **ნაირა ამანათაშვილი**, ბორჯომის კოლორიტი პიროვნებები, საკუთარი საქმის ნამდვილი პროფესიონალები, მხატვრები, ბატონები- **თანგული ორთოიძე** და **პეტრე დიასამიძე.**

-დღეს, თქვენი ნამუშევრების შესაფასებლად ბორჯომის კოლორიტი ადამიანები მობრძანდნენ, ბატონი **თანგული ორთოიძე** და ბატონი **პეტრე დისამიძე**. ამაყები უნდა იყოთ, ამ ადამიანებმა გამონახეს დრო, რათა მოსულიყვნენ თქვენთან და შეეფასებინათ თქვენი ნამუშევრები, რადგანაც თქვენ დღეს შექმენით ხელოვნების ნიმუშები, ქართული კალიგრაფია, სწორედ ხელოვნების ნიმუშია და სწორედ პროფესიონალებისგან მოვისმინე საოცრად დადებითი შეფასებები თქვენი მისამართით. ეს ყოველივე საოცრად დიდი მოტივაციაა თითოეული თქვენგანისათვის, რომ კიდევ მეტი გააკეთოთ. 14 აპრილი კი დიდი დღეა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი სამშობლოსთვის, რადგანაც ჩვენმა წინაპრებმა გადაარჩინეს ჩვენი ენა, სწორედ იმ რეჟიმის დროს, როდესაც ქართული ენა დაკარგვის ზღვარზე იდგა და აქამდე მოგვიტანეს. ახლა, როგორც ჩვენ ვამბობთ მათზე, რომ მათ ჩვენი ენა გადაარჩინეს, ასე იტყვიან ჩვენი და თქვენი შთამომავლები, ჩვენზე, რომ ჩვენ და თქვენ ქართული ენა გადავარჩინეთ. დღეს ინგლისური სიტყვები მძაფრადაა ჩვენში გავრცელებული, იყენებენ რუსულ სიტყვებსაც, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მდიდარი ენა გვაქვს, 14 დამწერლობას შორის ჩვენი ქართული ენა რომ ერთ-ერთი უძველესია. ჩვენი ვალია არ დავივიწყოთ, შევინარჩუნოთ, რომ არ დაიკარგოს, - მიმართა მოსწავლეებს ღონისძიების ბოლოს ბორჯომის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა **ხათუნა ხარაზიშვილმა.**

ანამარია გასიშვილი, კლუბ ,,ოქროს ანბანის'' წევრი, ღონისძიების პრეზენტატორი: - პედაგოგ **ნინო კევლიშვილის** მიერ დაფუძნებული კლუბი, საკმაოდ დიდ საქმეს აკეთებს, რადგანაც დიდი ყურადღება ექცევა ქართული ენისა და ანბანის პოპულარიზაცის. ჩვენი პრეზენტაციაც, ქართული ანბანისა და კალიგრაფიის პოპულარიზაციას ემსახურებოდა, გამოფენილი გახლდათ მოსწავლეთა ნამუშევრებიც, რომელიც ქართული ანბანის თემატიკით იყო შექმნილი, რაც მთავარია, მოსწავლეებმა ღია გაკვეთილის ბოლოს საკუთარი კალიგრაფიული ნიჭიც გამოავლინეს, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.

მარიამ ქურდაძე, ღონისძიების პრეზენტატორი: : - ჩემთვის, მოსწავლის სტატუსი პირველ რიგში არის საოცრად საპასუხისმგებლო. დღეს არის დედა ენის დღე და ამ დღეს ჩემი და ანამარიას პრეზენტაციაც ამის ნათელი მაგალითი იყო. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ქართული ენისა და კალიგრაფიის ის მახასიათებლები და სიმდიდრე, რაც გააჩნია ჩვენ მშობლიურ, ქართულ ენას, ბოლომდე დაგვენახებია. მიმაჩნია, რომ არაფორმალური განათლება, თითოეულ მოსწავლეს ეხმარება კიდევ მეტად ჩამოყალიბებაში და ინტერესების უფრო მეტად გაღვივებაში. ეს დღე ნამდვილად დასამახსოვრებელი იყო, როგორც ჩვენთვის, ასევე ჩვენზე უმცროსი ასაკის მოსწავლეებისთვის. მადლობა ნინო მასწავლებელს, რომ კლუბი შექმნა და დღევანდელ დღეს ჩვენც მოგვცა საშუალება, მიგვეღო მონაწილეობა. ყველას გილოცავთ დედა ენის დღეს.

ღონისძიების დასასრულს, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კალიგრაფიული ნამუშევრები კომპეტენტურმა ჟიურიმ (**ბატონებმა პეტრე დიასამიძემ და თანგული ორთოიძემ**) შეფასეს. სამახსოვრო სიგელები გადაეცა ყველა მოსწავლეს, თუმცა გამოვლინდნენ გამორჩეული ნამუშევრების ავტორები: **გიორგი თიგიშვილი, ანასტასია ჩუტკერაშვილი, ეფემია მაისურაძე, ნიაკო ვასილცევი, ნიკოლოზ ჩადუნელი, ნიკოლოზ ცარციძე, ლიზი ჩადუნელი, მარიამ ალელიშვილი, ლიზი მაღლაკელიძე.**

ნამდვილად საამაყოა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტს და ბორჯომის №3 სჯარო სკოლას ყავს პედაგოგი - **ნინო კევლიშვილი**, რადგანაც სწორედ ქალბატონი ნინოს მსგავს პედაგოგებზე დგას დღეს ჩვენი ქვეყნის მომავლის სწორად განვითარება და მითუმეტეს, როდესაც საქმე მშობლიური ენის შენარჩუნებას და რაც მთავარია, ლამაზად შენარჩუნებას ეხება, ეს კიდევ მეტად სასიამოვნო და მისასალმებელია.

ნატო მელიქიძე

გილოცავთ!

გაზეთ „ბორჯომის" ყველაზე პოზიტიურ, გაზაფხულივით თბილს, ფერადს, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე თანამშრომელს -

ნანა კევლიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ, ულევ ბედნიერებას, სიყვარულს, სიხარულს და ღვთის წყალობას!

გაზეთ „ბორჯომის" რედაქციის თანამშრომლები

კულტურის ქრონიკა

წიგნის პრეზენტაცია

ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დარბაზში გაიმართა პოეტ **იზო სარქისიანის** წიგნის „**საგზლად სიყვარულიც მეყოფა**" პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი გამოიცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და სამშენებლო ორგანიზაცია ,,მშენებელი-2012" ხელმძღვანელის ბატონ **ვახტანგ კაპანაძის** თანადგომით.

ავტორს წიგნის გამოცემა მიულოცეს ქალბატონებმა: **ვიოლეტა ბალახაშვილმა, ნაირა ალხაზიშვილმა, ნანული სალაღაიამ, ნინო გოგოლაძემ, ანასტასია ხაჩიძემ, ნათელა ტაბატაძემ, დალი ბანცაძემ,** ბატონებმა: **ვალერიან ლომიძემ, თედო მელიქიძემ, არჩილ ტალახაძემ.**

პრეზენტაცია საბიბლიოთეკო გაერთიანებისა და გაზეთ „ბორჯომის"რედაქციის თაოსნობით გაიმართა.

ღონისძიება მოამზადა და უძღვებოდა გაზეთ „ბორჯომის ჟურნალისტი **ნატო მელიქიძე.**

საინტერესო და შინაარსიან ღონისძიებაში მონაწილეობდნენ №1 და №6 საჯარო სკოლების ლიტერატურული კლუბების წევრები (ხელმძღვანელები **ლია გულიკაშვილი** და **ანასტასია ხაჩიძე**).

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ წაღვერის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი „თილისმა", (ხელმძღვანელი - **დალი ქასაშვილი**).

საღამო ბორჯომის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა „მესხური მრავალჟამიერით" დაასრულა. (ხელმძღვანელი **ლელა მუხურაძე**).

ქართული ქართველთ რწმენა!

თუ, რომ ღმერთმა გაგაჩინა,
ამ დალოცვილ ქვეყანაზე,
ჰოდა, უნდა ისაუბრო,
შენი ერის ტკბილ ენაზე.
კიდეც უნდა იღიღინო,
„იავნანას" ამ ტკბილ ჰანგზე,
და სამშობლოს თუ დასჭირდა,
მოიდინო ცრემლი თავზე.
და ქვეყანას თუ დაჭირდა,
გაუხარო ნერგი ქვაზე,
შვილთა- შვილი გაიყოლო,
და იარო უფლის გზაზე.
მარტო კაცი ან რად ვარგა,
თუ არ ფიქრობს ქვეყანაზე.
არც არასდროს არ გაცვალო,
შენი ენა, არც რამ სხვაზე.
ეს ხომ ვაჟას ენა არის,
ეს აკაკის ენა არის,
ჩვენი დედა-ენა არის,
და ჩვენი მტრის ძლევა არის.
ამ ენაზე საუბრობდნენ,
დიდი შოთა და ილია,
ამ ენისთვის ჩვენი სისხლი
წვეთ-წვეთობით დაღვრილია.
გაუფრთხილდი ყველა ასოს,
ან-ბანად რომ აკინძულა,
და ქართულად ისაუბრე,
ვაჟასავით გამართულად.

ჯემალ ბიბილური

იწყება ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობა

ბორჯომში, რობაქიძის ქუჩაზე მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაცია დაიწყო.

პროექტი ითვალისწინებს, 408 მერტზე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაციას. ასევე, მოეწყობა გარე განათების ლამპიონები.

პროექტის ღირებულება 229 995 ლარია. პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

გიწვევთ სამუშაოდ!

სასტუმრო ,,**მეიდანის**" დირექცია დიასახლისის მუდმივ პოზიციაზე სამუშაოდ იწვევს მსურველს. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიაკითხეთ მისამართზე: კოსტავას მოედანი №1. ტელ: 599-15-29-39

სასტუმროს დირექცია

გურამიშვილის ქ. №2-ში ბინის მცხოვრებლები, თანაუგრძნობენ თემური და ნანა სვანიძის ოჯახს, დედის, **დოდო მესხი-სვანიძის** გარდაცვალებას.

მერაბ ჯანიაშვილი, ნათელა იჩქიტიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი

დოდო სვანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი ნერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ვეტერანი ასაკს არ ემორჩილება

წელს უკვე მეორედ ვწერთ ცნობილ სამთო-მოთხილამურეზე, 88 წლის, ბატონ **ელგუჯა ორჯონიკიძის** წარმატებებზე, რომელმაც მარტის დასაწყისში, ჩეხეთში და ავსტრიაში მიაღწია. 8-9 მარტს ჩეხეთში, ხოლო შემდეგ ავსტრიის ქალაქ შლადმინგის სამთო-სათხილამურო ტრასაზე იასპარეზა, სადაც მასთან ერთად სტარტზე 140 ვეტერანი სპორტსმენი გამოვიდა.

ვეტერანები რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფებში გაერთიანდენ, ბატონ ელგუჯას ყველაზე უფროს ასაკობრივ ჯგუფში (85-90 წლიანები) მოუწია ასპარეზობა, სადაც ამჯერად წარსულში ცნობილი ვეტერანები გამოდიოდნენ სტარტზე.ქართველი სამთო-მოთხილამურის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ იგი ერთადერთი ქართველია, რომელიც ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრში იღებს მონაწილეობას.

ჯერ სუპერ-გიგანტში იასპარეზა,

შემდეგ სლალომში და ორივე სახეობაში პირველი ადგილები და შესაბამისი საპატიო თასები დაიმსახურა.

იმავე დღეებში ბატონ ელგუჯას შვილიშვილი **გიორგი თურქიაშვილი**, რომელიც 35 წლიანებში ასპარეზობდა, ბაბუას არ ჩამორჩა და ისიც ჩემპიონის სახელით დაუბრუნდა საქართველოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ელგუჯა 1956-1957 წლებში არაერთხელ გახდა საქართველოს ჩემპიონი, შვილებიც ზამთრის სპორტის სახეობებში ვარჯიშობდნენ, გია სწრაფდაშვებაში, ხოლო ელგუჯა (უმცროსი) ტრამპლინიდან ხტომაში შესანიშნავ შედეგებს აღწევდნენ და ყოფილ სსრ კავშირის ნაკრების სახელით ასპარეზობდნენ.

სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენის **ელგუჯა ორჯონიკიძის** მიღწევები ნამდვილად ფენომენალურია და მისასალმებელია.

ვეტერანი სპორტსმენი წლებს არ ემორჩილება. კვლავ ახალგაზრდულად უძგერს გული.

ვალერიან ლომიძე.

სატურნირო ცხრილში - პირველ ადგილზე

9 აპრილს ბორჯომის სტადიონზე გაიმართა თბილისის ლიგის 2012 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა მატჩი. ბორჯომის „თორი" შეხვდა თბილისის კლუბ „ავაზას".

უშეღავათო ბრძოლაში ბორჯომის „თორმა" დიდი უპირატესობით – 4:0 დაამარცხა ძლიერი მეტოქე.

სადღეისოდ ბორჯომის „თორი" სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა.

სიკეთე შეუმჩნეველი არ რჩება

უბრალოდ საუბრისას ჩვენს შორის მცხოვრები ადამიანები ხშირად ძალიან სასიამოვნო ამბებს გვიყვებიან, რომელიც თითქოს ჩვენს ახლოს შეუმჩნევლად ხდება, და მაინც სიკეთე არასდროს რჩება შეუმჩნეველი.

ნინო მასწავლებელი (**ნინო გოგოლაძე** ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი) რამდენიმე დღის წინ აფთიაქის რიგში იდგა, როდესაც შენიშნა, რომ ფარმაცევტმა, მოხუცს თავად შეუძინა წამლები.

- ძალიან დიდი სითბო დავინახე მათ შორის გამართული დიალოგის დროს, მადლიერება და სიხარული ერთად. იგივეს გაკეთებას ვაპირებდი, მაგრამ ფარმაცევტმა, მთელი გულით გაიღო დახმარება და იმ წუთებში მოხუცის თვალებში მხოლოდ მადლიერებას დაინახავდით.

შემდეგ, გოგონა რიგში მდგომ ნინო მასწავლებელს მიუბრუნდა. რა თქმა უნდა, ხმამაღლა გამოხატა, როგორც რიგითმა მოქალაქემ და ხაზი გაუსვა ფარმაცევტის სიკეთეს, კეთილშობილებას. ფარმაცევტმა შეახსენა, რომ იგივე გააკეთა თავად, როდესაც შვილი სრულიად უსასყიდლოდ ამეცადინა და წარმატებით ჩააბარა გამოცდები.

სიმართლეა, როდესაც ამბობენ, სიკეთე გადამდებია და სამყაროში არსად არც ერთი ქმედება, სიტყვა არ იკარგება.

სევდიანმა ამბავმა სიკეთის ხაზებით, სხვა რეალობაც დაგვანახა, ხელი სტკიოდა მოხუცს, მალამოსა და ბინტის თანხას ხურდებში ეძებდა. ისიც ვიცი, ფინანსდება გარკვეული მედიკამენტები სახელმწიფოს მიერ, მაგრამ საკმარისი არ არის და პენსიონერისათვის წამლები, რომ საერთოდ განურჩევლად ყველასათვის უფასო უნდა იყოს! წამალზეა, ტკივილების გაყუჩებაზე საუბარი, მოხუცისათვის.

ამ ამბავმა - სიკეთე და პრობლემა ერთად დამანახა. ბევრ სიკეთეს და უდარდელ მოხუცებულობას ვუსურვებდი ჩემს სამშობლოს.

იზა იანვარაშვილი